



სსკგ-ის თავმჯდომარემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს სააღდგომო მილოცვები გაუგზავნა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.05.2024. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული მიულოცა ანტიოქიის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს, იერუსალიმის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს, რუმინეთის უნეტარეს პატრიარქ დანიელს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტ საბას, ჩეხეთის მინებისა და სლოვაკეთის უნეტარეს მიტროპოლიტ როსტისლავს, სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონს, ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანეს.

მისალოც წერილებში, კერძოდ, ნათქვამია:

ქრისტე აღდგა!

გულითადად გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

უფალ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ხსოვნა სამყაროს ავსებს აღდგომის დღესასწაულის წმინდა სიხარულით, რომელიც მუდამ უნდა იყოს ჩვენს გულებში (წმინდა მღვდელთმთავარი ათანასე დიდი. მე-2 სადღესასწაულო ეპისტოლე).

ამ გამორჩეულ და წმინდა დღეს (აღდგომის კანონი, 8 ირმოსი), რომელიც განმსჭვალულია ჯვარცმული და აღმდგარი უფლისადმი ჩვენ მიერ განცდილი სიყვარულით, ეხმიანება ჩვენთვის კვლავ გახსნილი ზეციური ნეტარი სამყაროს სიახლოვის გრძნობა. დღეს ცა არა მხოლოდ მისანვდომი გახდა, არამედ ისე შეუერთდა მინას, რომ ძნელია მათ შორის საზღვრისა და განსხვავების პოვნა, რადგან მინა ზეც გამოჩნდა ღმრთეება, და ცაზეც – კაცება (წმინდა მღვდელთმთავარი ფილარეტ მოსკოველი. სიტყვა 24-ე ბრწყინვალე აღდგომის დღეს).

ჩვენი საკუთარი აღდგომა აზრობრივად სრულდება და ვლინდება ჩვენში, ცოდვით მოკვდინებულებში, ქრისტეს აღდგომის მეშვეობით (ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი), რომელიც იდიდება მთელს დედამიწაზე და ყველა ენაზე.

გესალმებით დიდი, დიდებული და მაცხოვრებელი ზეიმის საყოველთაო მხიარულებაში და ლოცვით გისურვებთ უხვად მიგელოთ მდიდარი ნიჭები და ცხოვრებისმომნიჭებელი ქრისტეს მაღლმოსილი შეწევნა თქვენს სანინამძღვრო შრომებში.

მოკრძალებული სიყვარულით უფალში,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო

კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

